



MES 8 22 0000920044



19/08/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 05.08

სხდომის დაწყების დრო: 14.00სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:10სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- 4. ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 5. ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

6. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	პოზიცია	საკითხი

1	თეა კორძაზე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II - III
2	ომარ კიკვიძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი	II - III
3	პაატა გერაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II - III
4	ომარ ზივზივამე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II - III
5	ლალი ზივზივამე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II - III
6	გია დადუნაშვილი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II - III
7	მელორ ალფენიძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
8	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV
9	მარინა ზარქუა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.	IV
10	ნინო ტალიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	V - VI
11	სოფიო ხუნდაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	V - VI
12	თათია დოლიძე			V - VI

		შპს ევროპის უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	
13	იოსებ კელენჯერიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	V - VI
9	სოფიო სამხარაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	V - VI
10	მარიკა ზურმუხტაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	V - VI
11	ნათია ჯოჯუა	შპს ევროპის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V - VI
12	ნინო გაგელიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	V - VI
13	ელენე ჩოქური	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	V - VI
14	დავით წასიძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
15	ნიკა გიგაური	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	VII
16	გიორგი ტომარაძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	VII

17	ირაკლი სოკოლოვსკი	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	VII
18	ირინა ბაქრაძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	- სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	VII
19	ნინო ჯოჯუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	VIII
20	ბაია ივანიშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი	VIII
21	სალომე პირველი	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	IX
22	ანჟელა აბულაძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	IX

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	შალვა კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ავთანდილ თაყაიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	გივი გვარდიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	თამარ გვანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

6	ნია ნათბილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
14	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
15	ეკატერინე გიგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი “ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი გეოგრაფიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. შპსევროპის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანსაგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სამართლის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;

7. შპს შავი ზღვის საერთაშორესო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა
8. შპს თბილისის თავისუფალი აკადემია - მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა) აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

კი
 ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანიშვილმა შუამდგომლობა დააყენა აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორება (შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით);
- 2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი “ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
- 4.სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი გეოგრაფიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 5.შპს ევროპის უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
- 6.შპსევროპისუნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ერთსაფეხურიანსაგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
- 7.ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;
8. შპს შავი ზღვის საერთაშორესო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. შპს თბილისის თავისუფალი აკადემია - მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა) აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

10. ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორება (შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის 194 გადაწყვეტილებით. მიმდინარე კანონმდებლობის მიხედვით, პროგრამა აკრედიტებულია 2025 წლის 31 დეკემბრამდე. საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის უზუსტობასთან დაკავშირებით, სურდა მიეწოდებინა ინფორმაცია აკრედიტაციის საბჭოსთვის. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში, დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც უკავშირდება შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ფორმულირებას. კერძოდ, ოქმში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმირებულია შემდეგი სახით: „საზღვაო მეცნიერებების ბაკალავრი“, საგულისხმოა, რომ 2018 წელს მოქმედი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“, რომელიც ახდენდა ეროვნულ დონეზე კვალიფიკაციების სისტემატიზირებას. ეს დოკუმენტი მიმდინარე ეტაპზე არის გაუქმებული. შესაბამისად, 2018 წელს, დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ყოფილიყო თანხვედრაში ამ ჩარჩო დოკუმენტთან და მათ შორის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვროდა შემდეგი სახით: „საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი“ - დარგი/სპეციალობა - 1110 საზღვაოსნო მეცნიერება. ქეთევან ინანაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ეს საკითხი შესწორების მიზნებისათვის გატანილი იქნა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე 2022 წლის 26 ივლისის სხდომაზე და საბჭოს მიერ მიღებულია 843977, 26/07/2022 „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“. თუმცა, სამწუხაროდ, 843977, 26/07/2022 გადაწყვეტილებაში ისევ დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციის დასახელებად მითითებულია - „საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი“, ასეთივე სახით არის მითითებული ფორმულირება საბჭოს სხდომის ოქმში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი მიმდინარე ეტაპზე საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას, რომ ცვლილება შევიდეს აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში და შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს შემდეგი სახით:

საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი, დარგი/სპეციალობა - 1110 საზღვაოსნო მეცნიერება.
აღნიშნული ფორმულირების გასწორებით, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოდის როგორც 2018 წელს მოქმედ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, ასევე, „საზღვაო ნავიგაციის“ დარგობრივ მახასიათებელთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:15

დასრულების დრო: 14:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმის 01 ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციის დასახელებად მიეთითოს - “საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი”;

2.მეორე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი “ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №61 07.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0713 - ელექტრობა და ენერჯია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის 98, სასწავლო კორპუსი 7 ქუთაისი. საფოსტო ინდექსი 4600; საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის საფუძველზე 2022 წლის 07-08 აპრილს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ შეფასების - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის - მიზნით.

ვიზიტი წარმართა დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, შეფერხების გარეშე: 7 აპრილს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ა.შ), ასევე ჩატარდა შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან. 08 აპრილს ექსპერტები შეხვდნენ ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ჯგუფებს და დაწესებულების წარმომადგენლებს (თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მაგისტრანტების ხელმძღვანელებს, მაგისტრანტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს). სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ, საქმიან გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს და წესრიგში მოყვანილ იქნეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც საჭიროებენ მოქმედების ვადის გაგრძელებას და/ან არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე 90%-იანი დასაქმების მაჩვენებელი იყო, რაც მისი მოსაზრებით საკმაოდ დიდ რაოდენობას წარმოადგენდა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს თუ სად საქმედობდნენ აღნიშნული პროგრამის, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი უნარების განვითარებასთან და სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დიდი რაოდენობა არ იყო კონკრეტული რეგიონიდან, ლევან მოსახლიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ ხდება აღნიშნული პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში და, ასევე, როგორ ხდება პერსონალის დატვირთვის გადანაწილება

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლოურმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობები და მოცემულია შემდეგი ჩანაწერი, რომ „ცნობა სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არ არსებობის შესახებ სტუდენტმა უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანატს“, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, აქვს თუ არა უნივერსიტეტს დადგენილი პლაგიატისა და დამთხვევის პროცენტული რაოდენობა, ვინ აკეთებს აღნიშნულის იდენტიფიცირებას და ვინ გასცემს პლაგიატის არ არსებობის შესახებ ცნობას.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ ყურადღება გაამახვილა „ტექნიკური თარგმნის“ სასწავლო კურსზე და აღნიშნა რომ აღნიშნული კურსი არის სავალდებულოდ გასავლელი კურსი, თუმცა, საერთო პროგრამის შედეგებში არ იყო აღნიშნული კონკრეტული კურსის გავლის შემთხვევაში რა უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულები სწარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამის დადებითი მხარე მუდმივად იყო დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. უნივერსიტეტის უდიდესი პარტნიორია ენერგო პრო, სადაც სტუდენტების უმრავლესობა არის დასაქმებული. რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და ზოგადად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, სხვადასხვა ორგანიზაციასთან, ამ მემორანდუმების ნაწილი უვადოა, სადაც არსებობს ჩანაწერი: მხარეთა შეთანხმების საფუძველზე: მემორანდუმის მოქმედების ვადაა 4 წელი. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ მემორანდუმი ავტომატურად გახანგრძლივდება მომდევნო 2 წლის ვადით, თუკი რომელიმე მხარე არ განაცხადებს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე. მემორანდუმების ვადებზე, მათი გაგრძელების შესაძლებლობებსა და აუცილებლობებზე მონიტორინგს ახორციელებს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური.

კვლევებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ბოლო დროინდელი ნაშრომები მთლიანად ეძღვნება დასავლეთი საქართველოს ელექტრული ქსელის კვლევას. აღნიშნული ქსელები ქაოსურად იყო აწყობილი და არ იყო შესწავლილი მეცნიერულ დონეზე. შესაბამისად, კვლევების საფუძველზე სიღრმისეულად იქნა შესწავლილი აღნიშნული საკითხი, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციები ანგარიშების სახით პრაქტიკულად იყენებენ.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, თბილისში მყოფი პერსონალის ნაწილის ჩართვა ხდებოდა ონლაინ. თუმცა სამომავლოდ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პერსონალის დატვირთვის ნაწილი და, შესაბამისად, მოხდება მათი ჩართვა პროგრამაში. რაც შეეხება პერსონალის დატვირთვას იმ პროფესორის მიერ 8 საგნის წაკითხვა ხდება მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს მიღებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანხვედრას სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომების, ასევე საკურსო ნაშრომებში ესეების თანხვედრას ტურნიტინის პროგრამის მეშვეობით. თუ თანხვედრა არის 20% ამ შემთხვევაში მაგისტრანტს აქვს უფლება გავიდეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, თუ თანხვედრა არის 20-40%-მდე მაგისტრანტმა უნდა გადაამუშავოს ნაშრომი, ხოლო 40%-დან ზემოთ არ ეძლევა მაგისტრანტს ნაშრომის დაცვის უფლება. აღნიშნულ პროცედურას მონიტორინგს უწევს

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ცნობას კი გაცემს ტექნიკური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე და ხელმძღვანელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში ზოგადად ჩანს, რომ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ როგორც ქართულ ენაზე, ასევე უცხოურ ენაზე თავიანთი აზრების გამოხატვა და ნაშრომების შესრულება. შესაბამისად, თარგმნის ნაწილი ირიბად ასახულია შედეგებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:44

დასრულების დრო: 15:06

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი “ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი “ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს და მოწესრიგდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც საჭიროებენ მოქმედების ვადის გაგრძელებასა და/ან არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს უცხოური ენა/ენები, რომლის/რომელთა ფლობა მოეთხოვება მაგისტრანტობის კანდიდატებს;
2. მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს პროგრამაში სარელო დაცვის მიმართულებით საკითხებზე;
3. მიზანშეწონილია, გაუმჯობესდეს მაგისტრანტების ინფორმირება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ციტირების წესების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განხორციელდეს ნაშრომების ამ კომპონენტის სათანადო შემოწმება;
4. მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

3.მესამე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 22.06.2021 გადაწყვეტილება N680231
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0722 მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 98
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ი თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 22.06.2021წ., ხოლო აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი 22.06.2022. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ნათელია, რომ აკრედიტაციის ექსპერტებისა და შემდგომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულებს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:10

დასრულების დრო: 15:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დაკენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4.მეოთხე საკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი გეოგრაფიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 -დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველო მეორე სასწავლო კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხობა

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 02 ივნისის ბრძანების MES 3 22 0000576673. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და 14 ივნისს ქ. თბილისში განახორციელა ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მისი განხორციელების გზები. ინტერვიუს დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა ძირითადი მიგნებები. ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე, შესწავლილი იქნა მოწოდებული სილაბუსები და პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ფაკულტეტზე იქნა შემუშავებული. ასევე, დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავების“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მით უფრო, რომ გაცნობითი ხასიათის კურსი არის გაღრმავებისა და განმამტკიცებელი კურსის აუცილებელი წინაპირობა.
2. რეკომენდებულია, განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის ტესტი და საკითხი იქნება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე და როგორი იქნება მათი შეფასების მექანიზმები; რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ფარგლებში მაგისტრანტობის კანდიდატმა დაადასტუროს უცხო ენის ფლობაც.
3. რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის (გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია, ქალაქის ანთროპოგენული გარემო, სამედიცინო გეოგრაფიის საფუძვლები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კონსტრუქციული მართვა) სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის განახლება ან ალტერნატიული წყაროს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (რიდერი, სალექციო კურსი).
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საკონტაქტო საათებისა, რომელიც ყველა სილაბუსში შეადგენს 65 საათს, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.
5. რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში ნათლად გაიმიჯნოს სწავლებასწავლის მეთოდი შეფასების მეთოდებისგან; ასევე, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები უფრო მეტად მრავალფეროვანი გახდეს და ყურადღება გამახვილდეს სწავლების ისეთ მეთოდებზე, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, პროექტის შემუშავება და სხვა).
6. რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლითაც წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების გამოყენება.
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე სრულფასოვანი წვდომა.
8. რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც გააერთიანებს მონაცემებს სწავლის შედეგების, დარგის სპეციფიკის, შინაარსობრივი თუ ტექნიკური მოთხოვნების შესახებ; „აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის N06-371 გადაწყვეტილებაში 7 არსებული ჩანაწერი გასწორდეს კანონის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს

სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები.

- რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართული როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ისე გადამუშავებისა და განვითარების პროცესში; ასევე, წარმოებდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს და განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ ეტაპზე, საიტზე განთავსებულია საგამოცდო საკითხები, შესაბამისი ლიტერატურა, თუმცა უშუალოდ მიღების წინა პერიოდში საიტზე იდება გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები. რაც შეეხება უცხო ენის დადასტურების საკითხს, ინსტიტუცია ითვალისწინებს რეკომენდაციას და ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვრება უცხო ენა.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნულ დისციპლინებში როგორც ძირითადი, ისე დამატებით ლიტერატურულ წყაროს, მისი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ონლაინ სივრცეში, შესაბამისი ბმულით. ამავე დროს პროგრამის პერსონალის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები განთავსებულია უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის პლატფორმაზე. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი აგრძელებს სასწავლო მასალის მუდმივ განახლებას და ახალი სახელმძღვანელოებისა და რიდერების შემუშავებას.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ ყველა სილაბუსში, რომელიც არის 6 კრედიტიანი, საკონტაქტო საათების რაოდენობა შეადგენს 50 საათს. შესაძლებელია ინტერვიუს დროს ადგილი ჰქონდა გარკვეულ შეუსაბამობას.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს ამ ეტაპზე აქვს წვდომა მხოლოდ ერთ სამეცნიერო ბაზაზე.

მნიშვნელოვანია, ასევე, მე-7 რეკომენდაცია, კერძოდ უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულია სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, შეფასებისა და დაცვის ინსტრუქცია, სადაც ეტაპობრივად აღწერილია ნაშრომის შინაარსობრივი თუ ტექნიკური მოთხოვნები, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია სააკრედიტაციო განაცხადში, შესაბამისად, სილაბუსის არსებობა არ არის აუცილებელი. რაც შეეხება აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ დოკუმენტს, საქმე გვაქვს გარკვეულ ტერმინოლოგიურ შეუსაბამობასთან, რაც უახლოეს მომავალში დარეგულირდება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებლები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, თუმცა ინსტიტუცია გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პლაგიატის წესი ერთ დოკუმენტშია თავმოყრილი, შესაბამისად, პროცედურულად ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ამომცნობი პროგრამის მიერ, შემდგომ კი ხდება ხელმძღვანელის მიერ შემოწმება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:28

დასრულების დრო: 15:46

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დაკენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი გეოგრაფიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი გეოგრაფიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მით უფრო, რომ გაცნობითი ხასიათის კურსი არის გაღრმავებისა და განმამტკიცებელი კურსის აუცილებელი წინაპირობა;

2. რეკომენდებულია, განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის ტესტი და საკითხი იქნება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე და როგორი იქნება მათი შეფასების მექანიზმები; რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ფარგლებში მაგისტრანტობის კანდიდატმა დაადასტუროს უცხო ენის ფლობაც;
3. რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის (გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია, ქალაქის ანთროპოგენული გარემო, სამედიცინო გეოგრაფიის საფუძვლები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კონსტრუქციული მართვა) სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის განახლება ან ალტერნატიული წყაროს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (რიდერი, სალექციო კურსი);
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საკონტაქტო საათებისა, რომელიც ყველა სილაბუსში შეადგენს 65 საათს, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა;
5. რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში ნათლად გაიმიჯნოს სწავლება სწავლის მეთოდი შეფასების მეთოდებისგან; ასევე, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები უფრო მეტად მრავალფეროვანი გახდეს და ყურადღება გამახვილდეს სწავლების ისეთ მეთოდებზე, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, პროექტის შემუშავება და სხვა);
6. რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლითაც წახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების გამოყენება;
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე სრულფასოვანი წვდომა;
8. რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც გააერთიანებს მონაცემებს სწავლის შედეგების, დარგის სპეციფიკის, შინაარსობრივი თუ ტექნიკური მოთხოვნების შესახებ; „აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის N06-371 გადაწყვეტილებაში 7 არსებული ჩანაწერი გასწორდეს კანონის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები;
9. რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართული როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ისე გადამუშავებისა და განვითარების პროცესში; ასევე, წარმოებდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი.

რჩევები:

1. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაძლიერდეს მუშაობა;
2. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში აქტიურად იყოს გამოყენებული თანამედროვე უცხოურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია უცხო ენების სწავლების გაძლიერებასთან სსუ-ში და, ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს, გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში;

3. მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული ბაზა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლებულია, სასურველია თანამედროვე უახლესი აპარატურით აღჭურვა და დინამიკაში სტრატეგიის შენარჩუნება;
4. სასურველია, უნივერსიტეტმა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაფინანსების ოდენობის გაზრდის მიმართულებით მუშაობა გააგრძელოს როგორც ახალგაზრდა მკვლევარების, ისე გამოცდილი კადრების წახალისების მიზნით;
5. სასურველია, ტექნიკური უზრუნველყოფის დახვეწის პარალელურად, გაუმჯობესდეს კითხვარების შინაარსი (ცალ-ცალკე შეფასდეს საგანი, ლექტორი, სასწავლო პროცესი);
6. სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებული პირის გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე ოფიციალური წესით შედგეს რეაგირების ოქმები, განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია იყოს უფრო სრულყოფილი;
7. სასურველია, რომ ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისაგან და განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების შესახებ მონაცემები აისახოს „პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების“ (5.3-ის) სტანდარტში; კარგი იქნება, პროგრამის განვითარების მიზნით უფრო მეტი ყურადღება მიექცეს გარე კოლეგიალური შეფასებისას გამოთქმულ რეკომენდაციებს;
8. სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტი შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას გამოვლენილი პრობლემების გამოსწორების, მიღებული შედეგების გაანალიზების, გამოყენებისა და სხვა მიმართულებით; ასევე, კარგი იქნება, წარმოებდეს ანალოგ უცხოურ პროგრამებთან დადარების ანალიზი, მიღებული შედეგები კი გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარებისთვის;
9. სასურველია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სისტემატური კვლევა, რათა სამაგისტრო პროგრამა მუდმივად დინამიკასა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იყოს ორიენტირებული.

5.მეხუთე საკითხი : შპს ევროპის უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №461172, 19.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 98
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 ✓ კი

თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულება დაევალა შპს ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების“ ბრძანებით პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის კომიტეტს, ფაკულტეტის დეკანს, დაინტერესებულ მხარეებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება. დაიგეგმა რიგი ღონისძიება, მათ შორის სამართლის ბლოკის დახვეწა, კვლევის მეთოდების სავალდებულო სტატუსით დამატება, სასწავლო სილაბუსების გადახედვა, ლიტერატურის გამრავალფეროვნება, შრომის ბაზრის კვლევის დაკონკრეტება, სტუდენტთა შენარჩუნება/მოძიების სტრატეგიის შემუშავება და სხვ. რეკომენდაციების

მიხედვით განახლებული პროგრამა წარდგენილი და განხილული იქნა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. დადებითად შეფასებული დოკუმენტაცია გადაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებისათვის. შემდგომ ის წარდგენილი იქნა ევროპის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წინაშე. დაწესებულების მიერ შესრულებული იქნა როგორც რეკომენდაციები, ასევე რჩევები.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო 2021 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული შესასრულელი რეკომენდაციები:

1. შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა და კვლევის ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს პროგრამის მგდრაედობაზე ორიენტირებული სტრატეგია (სტუდენტთა მოზიდვა, შენაჩუნება);
2. შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური კრიტერიუმები;
3. დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა სამართლის ბლოკში. კერძოდ, სამართლის ბლოკის სასწავლო კურსებში წინაპირობების პრინციპები;
4. მოხდეს სილაბუსების („საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ულთიერთობების თეორიები“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკა“, „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა“, „ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება“, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა“, და სხვა) გადახედვა -სათაურების შეცვლა, ლიტერატურის შეცვლა/დამატება, თემების გადახედვა და გამრავალფეროვნება;
5. ლიტერატურაში რიდერის მითითებისას მოერთითოს კონკრეტულად რიდერში გამოყენებული ლიტერატურა;
6. დაზუსტდეს და დაიხვეწოს „საერთაშორისო კონსტიტუციური სამართლის“ სასწავლო კურსის სათური და შინაარსი;
7. დაზუსტდეს სასწავლო კურსის, „მწვანე ეკონომიკა“, სავალდებულო ლიტერატურა;
8. მიზანშეწონილია, პროგრამას დაემატოს „კვლევის მეთოდების“ საგანი სავალდებულო სტატუსით.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, უსდ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას და შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია; მის განსახორციელებლად გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები სტუდენტების მოსაზიდად.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ უსდ აღწერს თუ რატომ იყენებს შეფასების სამწლიან დინამიკას და რატომ არ ითვალისწინებს რეკომენდაციას და თვლის, რომ სწავლის შედეგების შემუშავებული მეთოდოლოგია ეფექტური იქნება დასახული მიზნებისათვის. უსდ არ ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რომელიც დეტალურად გაიწერა ექსპერტების მიერ.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნული შესრულდა დაწესებულების მიერ.

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ ყველა აღნიშნული კურსი განახლებულია როგორც თემატურად, ისე ლიტერატურით. არის მცირე შენიშვნები; მაგალითად, სასურველია, სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა არ იყოს 20 გვერდზე ნაკლები. რეკომენდაცია შესრულებულია. ამასთან სრულად შესრულებულია რეკომენდაცია რიდერებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო სტატუსით დაემატა კურსი, „კვლევის მეთოდები“, რომლის შესწავლა მოხდება მე-7 სემესტრში (APA-ს სტილი

ისწავლება აკადემიური წერის კურსის ფარგლებში; მე-7 ლექცია ეთმობა APA-ს სტილს). რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და განმარტა, რომ რეკომენდაციის საპასუხოდ დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში და დააკორექტირა ჩანაწერი. იმას, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა პროცედურულად, ამას დაწესებულება ისედაც ახორციელებდა. შესაბამისად, პროცედურებში ცვლილების შეტანა არ მომხდარა. პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად. ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები და იგეგმება შესაბამისი რეაგირებები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის აღწერით ნაწილში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით რეკომენდაციაში აღწერილი საკითხი სწორედ აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესსა და პერიოდულობის საკითხს უკავშირდება. კერძოდ, საუბარია იმის შესახებ, რომ სამწლიანი პერიოდი ხანგრძლივი პერიოდია დაკვირვებისა და რეაგირებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის აღწერით ნაწილში გვხვდება რეკომენდაციასთან დაკავშირებული შემდეგი განმარტება: „რეაგირება შეფასების მეთოდის მიხედვით, დგება 3-წლიანი დაკვირვების შედეგად, რაც მიგვაჩნია, რომ საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ პრობლემა გაღრმავდეს და გართულდეს მისი მოგვარების პროცესი“, დასკვნაში ასევე ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „რეკომენდებულია 3-წლიანი დაკვირვების დრო შემცირდეს. რაც უფრო გაამარტივებს აღმოჩენილ პრობლემასთან გამკლავებას“. უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით აკადემიური მოსწრების ანალიზის განხორციელებასთან და შედეგების მიხედვით რეაგირებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების აკრედიტაციის პერიოდში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „შეფასება ხორციელდება დინამიკაში და რეაგირება ჩაითვლება საჭიროდ იმ შემთხვევაში, თუ სამ წლიანი დაკვირვების შედეგად, ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება საყურადღებო შემთხვევებიდან რომელიმე“. დაწესებულებამ განმარტა, რომ ჩანაწერი არ გულისხმობდა დაწესებულების მხრიდან მონაცემების სამი წლის განმავლობაში შეგროვებას, და ანალიზის მიხედვით სამი წლის შემდეგ რეაგირებას, არამედ, ხდებოდა გასული სამი წლის მონაცემების გამოყენება და ყოველსემესტრულად გაანალიზება, რეაგირებებიც ხორციელდებოდა ყოველსემესტრულად, რაც დასტურდება დაწესებულებაში რეგულარულად, ყოველსემესტრულად განხორციელებული ანალიზის შედეგებითა და რეაგირებების ანგარიშებით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის, მოხდა მისი დაკორექტირება და დაზუსტება. რეაგირების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში თუ სამი წლის მონაცემების ყოველსემესტრულად შესწავლისა და გაანალიზების შემდგომ გამოიკვეთება, რომ 3 წლიან დინამიკაში ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება ზემოაღნიშნული საყურადღებო შედეგებიდან რომელიმე. რეაგირება შესაძლებელია საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევაშიც, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამდენად, რეაგირების საჭიროება შეიძლება გამოიკვეთოს და, შესაბამისად, ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ყოველსემესტრულად“. რეაგირება გულისხმობს მიზეზების კვლევასა და პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, მაგალითად, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის ან შეფასების მეთოდების შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:02

დასრულების დრო: 16:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტების შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის “საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6.მეექვსე საკითხი : შპსევროპისუნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N442285, 13.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური ენა
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300

14	განხორციელების ადგილი	სარაჯიშვილის ქ. N17, თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებისთვის და ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე ანგარიშის მომზადებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე, რეკომენდაციების მიხედვით განახლებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი სილაბუსები წარდგენილ და განხილულ იქნა მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (2022 წლის 10 თებერვალი) და ევროპის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს სხდომაზე (2022 წლის 4 მარტი). სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები საფუძვლად დაედო რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს და დაერთო თანდართული დოკუმენტაციის სახით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა 2022 წლის 13 მაისს. უნივერსიტეტის მიერ გაანალიზებულია და სრულადაა შესრულებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესასრულებელი რეკომენდაციები,

რჩევების განხილვის პროცესი წარიმართა, რეკომენდაციების განხილვის პროცესის მსგავსად. მიღებული რჩევები სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მიერ განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტზე, ასევე შესაბამისი სასწავლო კურსების გამახორციელებელ პერსონალთან და უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. რჩევები ნაწილობრივ გათვალისწინებულია, რამოდენიმეზე დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია. რჩევების შინაარსიდან გამომდინარე, რჩევების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებად/სტრუქტურულ ერთეულებად განისაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი და პროგრამაში შეტანილი ცვლილების განხილვასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რამდენი ქულაა საშუალო მოსწრების აკადემიური მაჩვენებელი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ დასაქმების მაჩვენებელზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საშუალო მოსწრების მაჩვენებელი არის 70%, რაც გამოითვლება სემესტრული ანალიზის შედეგად. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, უცხო ენოვან პროგრამაზე არის საშუალოდ 50%, ხოლო ქართულენოვან პროგრამაზე შედარებით დაბალი, ვინაიდან სტუდენტები შემდგომ ირჩევენ სხვა სპეციალობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:11

დასრულების დრო: 16:13

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დაკენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპსევროპისუნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტების შესაბამისად, შპსევროპისუნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

7.მეშვიდე საკითხი : (ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 7 თებერვლის №43 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0160, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N1/პეკინის გამზირი N42ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ “აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ-ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ” განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად ჩატარდა „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შეფასება. შეფასების პროცესი დაეფუძნა ცენტრის მიერ აკრედიტაციის ექსპერტებისადმი წარდგენილ დოკუმენტაციას.

პროგრამამ განიცადა ცვლილებები, კერძოდ, კურიკულუმს სავალდებულო კომპონენტად დაემატა საგანი „იურიდიული ეთიკა“; საგანი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ სტუდენტებს შეთავაზებულ ექნებათ 2 სემესტრის განმავლობაში; საგანი „ქართული მართლწერა“ ჩანაცვლდა საგნით „აკადემიური წერა“; ინგლისური ენის upper intermediate დონე სტუდენტებს შეთავაზებულ ექნებათ 2 სემესტრის განმავლობაში. ამასთან, სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობის უზრუნველსაყოფად მოდიფიცირდა სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების სისტემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. მიზანშეწონილია, პროგრამის სილაბუსები დაიხვეწოს აკადემიური დარგობრივი ტერმინებით, სამართლებრივი სიცხადისა და სიზუსტის მიზნით; ამავდროულად, მიზანშეწონილია, სილაბუსების შინაარსი ასახავდეს საქართველოს ეროვნულ სამართალში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს;
2. მიზანშეწონილია, დინამიურად სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით).
3. მიზანშეწონილია, სილაბუსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან კორელაციისა და შესაბამისობის მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა.
4. სასურველია, დროთა განმავლობაში სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები ან/და აქტივობები დაჯგუფდეს სწავლის შედეგების მიხედვით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:29

დასრულების დრო: 16:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის

დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგემიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

8.მერვე საკითხი : შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1261875, 24.11.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური ენა
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13კმ.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ კი

თვითაცხადი განაცხადა - გოდერძი ბუჩაშვილი

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად ვადად განისაზღვრა 2022 წლის 24 მაისი. უსდ-ს მიერ ანგარიში წარმოდგენილი იქნა 2022 წლის 23 მაისს. ანგარიშის მომზადების მიზნით უსდ-ში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროგრამის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფმა ანგარიშზე იმუშავა უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის რეკომენდაციების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია ყველა რეკომენდაცია (8 რეკომენდაცია).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ როგორც რეკომენდაციები, ასევე რჩევების ნაწილიც სრულად იქნა გათვალისწინებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:44

დასრულების დრო: 16:46

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრი სშედები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

9.მეცხრე საკითხი : შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N453866, 17.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი - საბაზო - საშუალო საფეხური)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	არ ენიჭება
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი - საბაზო - საშუალო საფეხური)
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	

		ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 16 მაისს წარმოადგინა, ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 17 მაისს და პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია და დამატებით განესაზღვრა საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა 2022 წლის 17 მაისს. აკრედიტაციის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით შპს თბილისი თავისუფალმა აკადემიამ ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულებაზე აკრედიტაციის მინიჭებისთანავე დაიწყო მზადება. რექტორის 02.06.2021 წლის N 30 გ ბრძანების საფუძველზე შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფს დაევალა რეკომენდაციების და რჩევების შესწავლა და შესაბამისი ქმედების განხორციელება. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში უსდ-მ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 16 მაისს, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
2. პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმი არ ითვალისწინებს სტუდენტთა კონკრეტულ რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაზე სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მზაობა ნათლად გამოიკვეთა. რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულება პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში, გამოიკვეთოს კურსის შინაარსის სპეციფიკა, რაც აისახება კურსის შინაარსზე მორგებულ სწავლის მეთოდებსა და აქტივობებზე
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული კომპონენტი და მეთოდი ითვალისწინებდეს მოცემული კურსის სპეციფიკას.

ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინება დაწესებულების მიერ ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგის (შედეგი 7) შესაბამისად და ფორმულირებულია შემდგომად: „ აცნობიერებს დემოკრატიული ფასეულობების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში“. გარდა ამისა, პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგებს დაემატა სასწავლო კურსში - „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებში“, სასწავლო კურსის ფარგლებში მოხდა სწავლის შედეგების შესაბამის თემებზე განაწილება. სულ სასწავლო კურსის სილაბუსში დამატებულია 3 მსხვილი თემა, რომელიც თავისი შინაარსით პასუხობს გარემოს მდგრადი განვითარების მიზნებს. რეკომენდაცია სრულადაა გათვალისწინებული და შესრულებული.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულებისთვის გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსობრივი მხარე გამოსწორებულია, შეცვლილია რეკომენდაციის შესაბამისი ხელშეკრულების შინაარსიც. ახალი რედაქციით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შეთანხმების მიზნები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის განხორციელების თვალსაზრისით იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლის მიღების შესაძლებლობა აქვს კონკრეტულ სკოლას; რეკომენდაცია სრულადაა გათვალისწინებული და შესრულებული.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების მიზნით რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში, შინაარსის გათვალისწინებით მოხდა სწავლა-სწავლების მეთოდების გადახედვა და დამატება. სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის შინაარსზე მორგებული მეთოდებისა და აქტივობების გათვალისწინებით დამატებულია ისეთი მეთოდები, როგორცაა დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, სიტუაციური თამაშები, დემონსტრაციის მეთოდი, ვერბალური, ზეპირსიტყვიერი, წერიითი მუშაობის მეთოდი, პრეზენტაცია, პროექტი, პრაქტიკული მეთოდები.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გათვალისწინებულია ცვლილებები სასწავლო კურსის შეფასების თითოეულ კომპონენტში კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. რეკომენდაცია სრულადაა გათვალისწინებული და შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ სტუდენტთა კონტინგენტთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილამა დააზუსტა თუ როგორ მოახერხებს დაწესებულება რეგიონიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას სამომავლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ სტუდენტები ძირითადად იყვნენ რეგიონებიდან და, ასევე, თბილისიდან. სტუდენტთა ნაწილი მოქმედი მასწავლებელია, ხოლო ნაწილი არა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა დადებითად შეფასდა არა მარტო ექსპერტების, არამედ დამსაქმებლების მხრიდან, რომლებთანაც პრაქტიკის შემდგომ სტუდენტები საქმდებიან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესი იქნება ჰიბრიდული, რაზეც განათლების სამინისტროდან შეზღუდვა არ იქნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:05

დასრულების დრო: 17:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დაკენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზოსაშუალო) საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზოსაშუალო) საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

10. მეათე საკითხი : ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კიბერუსაფრთხოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. ა(ა)იპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი; 2. ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი: მეცნიერების მაგისტრი ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოებაში 2. ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: მეცნიერების მაგისტრი კიბერუსაფრთხოებაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 -პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა, თბილისი, 0179, საქართველო სწავლების პირველ წელს სტუდენტები ორ კვირიან

		სტაჟირებას გაივლიან ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტში, 1, ლუი ბი ნან დრაივ, ჰაილენდ ჰაიტს, კენტუკი, 41099, აშშ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეთე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ საბჭო აგრძელებდა ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვას და რადგან ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის მოსაზრება მათ უკვე მოსმენილი ჰქონდათ 2022 წლის 29 ივლისს გამართულ საბჭოს სხდომაზე აღარ იყო საჭირო მათი თავიდან წარმოდგენა. მან განმარტა, რომ საკითხის მოსმენას ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრების მოსმენით გააგრძელებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულობის მექანიზმი კენტუკის უნივერსიტეტის მხრიდან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებს სცდება და დააზუსტა, თუ რამდენად იყო ამერიკული მხარე ინფორმირებული აღნიშნულთან დაკავშირებით და რამდენად არის გაზიარებული აკრედიტაციის სტანდარტები ამერიკული მხარის მიერ.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ, დააზუსტა, თუ როგორ მოხდება კენტუკის უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან ლექციების ჩატარების უზრუნველყოფა დროში სხვაობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

კენტუკის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელების ნაწილში ორივე მხარის ჩართულობა საკმაოდ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ კენტუკის უნივერსიტეტის ჩართულობა ივარაუდება ონლაინ ფორმატში, მუდმივად მოხდება პირადი შეხვედრები სანგუმში სტუდენტებთან და ფაკულტეტთან, რომლების ფარგლებშიც ჩატარდება არა ერთი ლექცია თუ სემინარი და განხორციელდება ზოგადი ინტერაქცია. ინტერაქციის მეორე ნაწილი მოიცავს თავად სანგუს უნივერსიტეტის სტუდენტების ვიზიტს კენტუკის უნივერსიტეტში სწავლების პირველ წელს, დაახლოებით ოქტომბრის თვეში. აღნიშნული პერიოდი, სავარაუდოდ, გაგრძელდება ორი-სამი კვირა და ამ დროს უზრუნველყოფილი იქნება არა ერთი ლექცია და პრაქტიკული ნაწილი, რათა რეალურად ეზიარონ სტუდენტები კიბერ-უსაფრთხოების მნიშვნელოვან და აუცილებელ საკითხებს. აც შეეხება დანარჩენ სემესტრებს, ლექციების უმეტესობა ჩატარდება ონლაინ, მოხდება ვიდეო ლექციებისა და სხვა სასწავლო რესურსების გაზიარება. გარდა ამისა, ივარაუდება კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორების ვიზიტებიც სანგუმში ზაფხულის თვეებში. რაც შეეხება ადმინისტრირებას, მნიშვნელოვანია რომ კენტუკის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ეწვევა ქართულ მხარეს, რათა დაადასტუროს მოცემული თანამშრომლობის მნიშვნელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსის ფორმა არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოცემულია, უბრალოდ, ის ინფორმაცია, რაც აუცილებლად უნდა იყოს სილაბუსში განსაზღვრული. გამომდინარე აქედან შეიძლება სილაბუსები ვიზუალურად არ ჰგავდეს სტანდარტულს, თუმცა შინაარსობრივად დეტალურად გადმოცემულია ყველა საჭირო და აუცილებელი საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა მუშაობს შემდეგნაირად, სტუდენტებს ექნებათ 8 ჩანაწერის მოსმენის შესაძლებლობა, ამასთან პროგრამა ითვალისწინებს ორ არჩევით კურსს. ყველა კურსი გარკვეულწილად იქნება სინქრონიზებული. თუმცა კვირაში ორჯერ სტუდენტებს ექნებათ ლექტორებთან ონლაინ ინტერაქციის შესაძლებლობა. ამასთან მოხდება არსებული პერსონალის კენტუკის უნივერსიტეტის მიერ გადამზადება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:35

დასრულების დრო: 19:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობრლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მობილობის უზრუნველყოფისთვის დაწესებულებამ გააფორმოს ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან სტუდენტების გადაყვანის მიზნით ანალოგიურ პროგრამაზე.
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისთვის შემუშავდეს შესრულების ინდიკატორები და განისაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ეს შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე ნაკლებად დაყოფილ კურსის საერთო შეფასებას.
3. რეკომენდირებულია, შესაბამისობის დეტალური შეფასება, როგორც პროგრამის დასაწყისში, ასევე პირველი წლის დასრულებისას, რათა განისაზღვროს სწავლის მეთოდების ეფექტურობა სწავლის შედეგების მისაღწევად.
4. პროგრამას უნდა დაემატოს ტექნიკური უზრუნველყოფის უსაფრთხოების და უსაფრთხოების დაბალი დონის შემცველი კურსი და თემები.
5. შეიქმნას წინაპირობები შემდეგი კურსებისთვის:
 - გამოყენებითი კრიპტოგრაფიას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
 - მონაცემთა უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
 - შემთხვევაზე რეაგირებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
 - კიბერუსაფრთხოებისთვის მანქანურ სწავლებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
 - ქსელის უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების საფუძვლები წინაპირობად.
 - ოპერაციული სისტემის უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოება წინაპირობად.
 - ვებ უსაფრთხოებას უნდა ჰქონდეს კიბერუსაფრთხოება წინაპირობად.
7. რეკომენდირებულია ჩასწორდეს მონაცემთა უსაფრთხოების კურსის სილაბუსი

8. სასწავლო კურსების სილაბუსების ფორმა, სტრუქტურა და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან.
9. დამყარდეს ფორმალური კავშირები სფეროს ინდუსტრიასთან, პრაქტიკული გამოცდილების შეძენის მიზნით, სტუდენტების სტაჟირებისთვის
10. სტაჟირების პროგრამა უნდა დაემატოს პროგრამას პრაქტიკული უნარ-ჩვენების გაძლიერების მიზნით.
11. რეკომენდირებულია, პროგრამის დაწყებამდე, ადმინისტრაციამ ნათლად განსაზღვროს, როგორ მუშაობს ის პრაქტიკაში, ასევე, შეფასება და შეფასების მეთოდები, რა ტრენინგები და საორიენტაციო სესიებია საჭირო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში უნდა მოხდეს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.
12. რეკომენდირებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლებასწავლის ორგანიზებასა და შეფასების მეთოდებში ითვალისწინებდეს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს.
13. რეკომენდირებულია, საგნების უმეტესი ნაწილი ჩატარდეს ადგილზე.
14. რეკომენდირებულია, ანტიპლაგიატის მექანიზმების გათვალისწინება სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციაში.
15. რეკომენდირებულია, ნათლად განისაზღვროს ინდივიდუალური სტუდენტის როლი კულმინაციური ჯგუფური პროექტის დროს და შეფასების მექანიზმები მათი ინდივიდუალური კონტრიბუციის იდენტიფიცირების მიზნით.
16. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთიანობა დასკვნითი შეფასებით მკაფიოდ გამოიკვეთოს შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში.
17. პროგრამაში თანდათან უნდა გაიზარდოს იმ პერსონალის რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. განვითარდეს და განხორციელდეს პერსონალის ინდივიდუალური ტრენინგის გეგმები.
18. რეკომენდირებულია, სანგუ-ს პერსონალს ჰქონდეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა კიბერუსაფრთხოების კომპეტენციების მიმართულებით, პროგრამის განახლებისა და აღნიშნულ სფეროში მიმდინარე სიახლეების გათვალისწინების მიზნით.
19. პროგრამის მდგრადობის შეფასების მიზნით, საჭიროა ნათლად განისაზღვროს: სწავლის გადასახადი; სტუდენტების მინიმალური რაოდენობა, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელების ხარჯების მხარდაჭერისთვის; პარტნიორ უნივერსიტეტში პერსონალის ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება; პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის ვიზიტის ხანგრძლივობა და ღირებულება;
20. რეკომენდირებულია, ორივე ინსტიტუციამ იმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმებისა და პრინციპების გაზიარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მსგავსი კურსების შეფასების პროცედურებს, შეფასების ციკლებს, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მუდმივ მონიტორინგს და რელევანტურ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას;

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის 'მომწიფებასთან' ერთად, პროგრამის მიზნების უწყვეტი შეფასების სისტემის დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნების: ა) მუდმივი რელევანტურობა ბ) მიღწევადობა;
2. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების პროცედურების დანერგვა, რომ პროგრამა იყოს მუდამ აქტუალური და უპასუხოს ადგილობრივ საჭიროებებს;
3. სტუდენტთა მომავალი დასაქმების უზრუნველყოფისთვის, სასურველია უფრო მეტი თანამშრომლობა დამსაქმებელთან სპეციალური პრაქტიკისა და კვლევითი აქტივობების

განხორციელების გზით o სტუდენტთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, მიზანშეწონილია საერთაშორისო პროექტების ორგანიზება, როგორც არის ჰაკათონი;

4. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვებიან სტუდენტთა აკადემიური ხელმძღვანელობის პროცესში.
5. მიზანშეწონილია დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასების დანერგვაზე მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის უფრო განვითარებას.
6. სასარგებლო იქნება, ერთობლივი ადმინისტრირების გამოყენება და ორივე დაწესებულების პერსონალის ჩართვა სასწავლო და შეფასებით პროცესებში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 5 აგვისტოს, 19:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

